

# შპგელასი დეპორატიული ხელოვნება (მარმარილოს ქაღალდი)

## ლია სიხარულიძე

განსაკუთრებულად ზასეულ ხელნაწერთა მხატვარ-რესტავრორი

„მარმარილოს“ ქაღალდის ანუ „ებრუს“ ბუნებრივი მარმარილოს ქვის იერსახე აქვს. იგი გამოიყენებოდა წიგნის შექმნისა და მისი გაფორმების ხელოვნებაში.

ამ ქაღალდს იყენებდნენ შუასაუკუნეებიდან იაპონიაში, სპარსეთსა და თურქეთში. შემდგომ მისი შექმნის ხელოვნება გადადის ინდოეთში, არაბეთში, ირანში, ესპანეთში. მისი ტექნოლოგია თანდათან ვითარდებოდა და იხვეწებოდა. მას სპეციალური ტექნოლოგიის გამოყენებით ხელით აკეთებდნენ, რაც როგორ და შრომატევად საქმედ ითვლებოდა.


„მარმარილოს“ ქაღალდის შექმნა თხოულობდა განსაკუთრებულ დამოკიდებულებასაც. ადამიანები, რომლებიც ამ ხელოვნებით იყვნენ დაკავებულნი, მორალურად სუფთანი და დრმად მორწმუნენი უნდა ყოფილიყვნენ.

„მარმარილოს“ ქაღალდის შექმნის ხელოვნების საფუძვლია: სელის მარცვლები, წყალი, სხვადასხვა ფერის მცენარეული საფეხბავები და გაფხვიერებული პიგმენტები. მისი ტექნოლოგიის არსი ერთია: სპეციალურად ამ ტექნოლოგიისათვის დამზადებული ნატურალური ცხენის ძუის სხვადასხვა გრძელდეწვიანი ფუნჯებით ასხურებენ მოხარშული სელისაგან მიღებულ ლორწოვან მასაზე წყალგამძლე საღებავებს, რომელზეც სპეციალური ხელსაწყოებით იხატება ნებისმიერი კომპოზიცია, რის შედეგადაც ზემოდან ბრტყელ მდგომარეობაში თავსდება ქაღალდი, რომელიც მთლიანად იკრობს ამ ნახატს. ფერების შეხამება და ფერწერული გადასვლები დამოკიდებულია მხატვრის ფანტაზიაზე. კარგ შედეგს იძლევა აბაზანის (რომელშიც მოთავსებულია თხევადი მასა და საღებავები) ოდნავ რევა, რის შედეგადაც საღებავები ქმნიან ტალღისებურ რიტმს და თავისებურ ფაქტურას. როდესაც სხვადასხვა ფერის საღებავს თანმიმდევრობით აწვეობ ერთ წერტილში, იგი ვრცელდება რგოლებად, რის შედეგადაც გამოისახება არაჩვეულებრივი ფერწერული გადასვლა, ასევე თხევად მასაზე განთავსებული ფურცლის გადაადგილება სხვადასხვა რიტმს ქმნის.

უკელა ასეთი ოპერაცია მოითხოვს პირველ რიგში გამორჩეულ მხატვრულ გემოვნებას, დიდ მოომინებას და მუყაითობას. „მარმარილოს“ ანუ „ებრუს“ ქაღალდის უძველესი ხელობა გადაიზარდა ხელოვნებაში.



## წიგნის ყდის გარეთა მხარე



ფოტო №1

## წიგნის ყდის შიდა მხარე



ფოტო №2

„მარმარილოს“ ქაღალდს იყენებდნენ წიგნის ყდისთვის, კერძოდ:

1. ყდის ზედაპირის შესამოსად. იხ. ფოტო №1;
2. წიგნის ზედა და ქვედა ფურცლებისათვის ანუ ფორზაცებისათვის. იხ. ფოტო №2.

Created with

პ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) საგანძურში დაცულია ათი ათასამდე ძველი ხელნაწერი. ქართული ფონდების ხელნაწერთა ყდების დიდი ნაწილი გარედან შემოსილია ტვიფრული ტყავით. მცირე რაოდენობა ქართული ხელნაწერებისა ჩასმულია მარმარილოსებურ ყდებში. მათგან დავასახელებ რამდენიმეს:



### ფოტო №3

- S-409 ყდა შემოსილია „მარმარილოს“ ქადალდით: საღებავების მრგვალ, ღია ყავისფერ წრეებში ჩასმულია ფირუზის ფერი.
- S-360 ყდა შემოსილია „მარმარილოს“ ქადალდით: ბაცი ვარდისფერით, ღია და მუქი მწვანე ფერებით.
- H-2181 ყდა შემოსილია მუქი, მწვანე და რუხი ფერის „მარმარილოს“ ქადალდით.
- S-398 ყდა შემოსილია ღია და მუქი ფირუზის ფერით, აგრეთვე მრგვალი მოხაზულობის ვარდისფერი „მარმარილოს“ ქადალდით.
- H-2325 ყდა შემოსილია მჭიდრო, შავი და ყავისფერი „მარმარილოს“ ქადალდით.
- H-2138 ყდა შემოსილია ყავისფერით, მწვანე და თეთრი „მარმარილოს“ ქადალდით.

საგანგებოდ შევჩერდებით ქართულ ხელნაწერზე, გიორგი-XI დაკვეთით შესრულებულ XVI-XVII სს. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“, ფონდი H-2074 (ამ ხელნაწერთან შეხება გვქონდა მისი რესტავრაციის დროს).

ხელნაწერი შედგება 260 ფურცლისაგან. ტექსტის ფურცლები, მოთავსებულია ფერად სწორჯუთხა ჩარჩოებში. ფურცლის ზომა 37X24სმ., ჩარჩოში ჩასმული ტექსტის ზომა 20X14,5სმ., ფურცლის მოხატული ბორდიულის ზომა 6,5სმ.

მუქი ლურჯი ფონის ბორდიურები მოხატულია ადამიანების, ცხოველების და ფრინველების გამოსახულებით, რომლებიც ზოგიერთი თაისიბით იაპო-

ნიისა თუ ჩინეთის ოსტატთა მკვეთრ სინატიფეს მოგვაგონებს. ამ ბორდიურებს ცალკე ქმნიდნენ და მერე აწებებდნენ ფურცლის კიდეებზე ანუ ბორდიურებზე.

ამას გარდა ხელნაწერის ბორდიურებზე ალაგ-ალაგ ჩაქრულია განსხვა-ებული გაფორმების ფერადოვანი ქაღალდიც, მასზე არ არის ადამიანის, ცხოველის და ფრინველის გამოსახულება. აქ ჩვენ წიგნის გაფრომების ხელოვნების საინტერესო და განსხვავებულ დარგთან გვაქვს საქმე.

ამ შემთხვევაში ხელნაწერის ფურცლების გაფორმების განსხვავებულ და-კორატიულ სტილს წარმოადგენს „მარმარილოს“ ქაღალდი, რომელსაც იმ დროს იყენებდა სხვადასხვა ეროვნების ხალხი წიგნის გასაფორმებლად.

მაგალითისთვის გავიხსენოთ ხელნაწერის (H-2074) რამდენიმე ფურცლის აღწერილობა:

- 11 v-s ბორდიურზე ვარდისფერია გარეული, r-ზე ლურჯი და ყავისფერი.  
48 v,r. ბორდიურებს ახლავს გამორჩეულად ლამაზი „მარმარილოს“ ქაღალდი.  
92 v,r. „მარმარილოს“ ქაღალდის ორივე გვერდი ერთ სტილშია დახატული.  
143 v-ls ბორდიურზე: ლურჯი, მწვანე, ყავისფერი და მოწითალო. r-s ბორდიურზე: ცისფერი, ლურჯი, ყავისფერი, შესრულებულია ძალიან წმინდა ორნამენტით.  
106v,r. ბორდიურს ახლავს გამორჩეულად ლამაზი „მარმარილოს“ ქაღალდი.  
198 v-ls ბორდიურზე: ბაცი წითელი, ლურჯი, ღია ყავისფერით შესრულებულია მსხვილი „მარმარილოს“ ორნამენტი.  
251 v-ls ბორდიურზე: ვარდისფერი, ლურჯი, მუქი მწვანე, ყავისფერი შესრულებულია მსხვილი „მარმარილოს“ ორნამენტი. r-s ბორდიურზე: ლურჯი, ყავისფერი შესრულებულია მსხვილი „მარმარილოს“ ორნამენტი.

ეს ხელნაწერი წარმოადგენს მინიატიურული ხელოვნების შესანიშნავ ძეგლს. ტექსტისაგან დამოუკიდებლად შექმნილი კომპოზიციები დეკორატიულ ხასიათს ატარებს. მასში გამოყენებული „მარმარილოს“ ქაღალდი განსხვავებული სახეობაა ხელნაწერი წიგნის მხატვრული გაფორმებისა.

განსაკუთრებით დიდი რაოდენობა ხელნაწერებისა მარმარილოსებური ფერადოვანი ყდებით დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის აღმოსავლურ ფონდებში. ასეთი გაფორმებით გვხვდება ხელნაწერთა ყდის ზედაპირები, შიგნით ფორზაცები და ქვედა ყდის სარქველებიც კი. ასეთი ხელნაწერის ნიმუშებია:

1. მარმარილოსებური ყდები: Arl-7, Arl-42, Arl-87, Arl-88, Arl-258, Arl-275, Arl-726, Arl-727, Arl-760; კაჯარის კოლექციიდან: Turl-16, TK-15, TK-23, L-59 ArK-17, ArK-25, ArK-31.
2. მარმარილოსებური ფორზაცები: Arl-65, Arl-76, Arl-100, Arl-225, Arl-247, Arl-754.
3. მარმარილოსებური ყდა და ფორზაცი: Arl-67, Arl-49.
4. მარმარილოსებური სარქველები: Arl-139, Arl-186.
5. მარმარილოსებური ყდა, ფორზაცი და სარქველი: Arl-95, Arl-96, Arl-267, Arl-66, Arl-131, Arl-186.

შუა აზიური ფონდი: ArAc-325, ArAc-562, ArAc-379, ArAc-390

სპარსული ფონდი: P-29, P-58, P-139, P-174, P-399, P-422.

მარმარილოსებური ქსოვილის (ატლასი, აბრეშუმი, ჩითი) მიღების ტექნოლოგია გამოიყენებოდა:

1. წიგნის ყდაზე შიგნითა მხრიდან დასაკრავად, რაც წიგნის გაფორმების ერთ-ერთი იშვიათი მეთოდი იყო. ის ფოტო №3;
2. სხვადასხვა სუვენირის შესაქმნელად.



ფოტო №4

მარმარილოსებური ქაღალდის შექმნას ფართო პერსპექტივა აქვს. ამ ტექნიკის იმპროვიზაციულ ხასიათს წარმოადგენს: ორნამენტები, რომლებიც არ მეორდება; ტალღისებური ფერწერული კონტურების მონაცემებია; მრავალფეროვანი ფაქტურა.




ფოტო №5


ქაღალდი სასურველია იყოს ფორებიანი, რადგან ის კარგად იწოვს საღებავს. ძალიან ეფექტურია ტექნოლოგიის დროს შავი ფოტოქაღალდის გამოყენებაც.

Created with

 **nitro PDF professional**  
download the free trial online at [nitropdf.com/professional](http://nitropdf.com/professional)



ფოტო №6



ფოტო №7

ბევრმა ძველმა ხელნაწერმა სრულყოფილ მდგომარეობაში ჩვენამდე ვერ მოაღწია. პირველ რიგში რღვევას და დეფორმაციას განიცდის ისეთი ხელნაწერი, რომლის ყდა გარედან შემოსილია ქაღალდით და არა ტყავით.

სარესტავრაციო პრაქტიკაში ხანდახან წარმოიქმნება აუცილებლობა ყდის დაზიანებული და ნაკლული ქაღალდის ანუ საფარის ადგგნა მარმარილოსებური მეთოდით. რესტავრატორს უხდება ძველი შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ახალი „მარმარილოს“ ქაღალდის გაკეთება და მიმსგავსება. ასეთი სამუშაოს შესრულება ყოველთვის რთულია და სასურველი შედეგი უნიკალური.

ძველი ხელნაწერების აღდგენა-რესტავრაციის დარგში კვალიფიკაციის ასამაღლებლად ესტონეთში სტაჟირების დროს შევისწავლეთ „მარმარილოს“ ქაღალდის გაკეთების ტექნოლოგიაც.

წარმოგიდგენთ ჩვენს მიერ შესრულებულ რამდენიმე ნიმუშს: ფ. №6, №7.

ამ საკითხთან დაკავშირებით ლიტერატურა მწირია, ჩვენ მასალას მრავალი წლის განმავლობაში ვაგროვებდით.

„მარმარილოს“ ქაღალდის შექმნის ხელოვნება ადამიანისა და ბუნების პარმონიის უმაღლესი გამოსახულებაა და სილამაზესთან ზიარებაა. ამდენად, ამ უძვე-

ლესი ხელოვნების გამოყენება ადამიანის ბუნებასთან მიახლოების უმაღლესი საშუალებაა.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა Literature Литература

1. რენე შმერლინგი, ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები, მეც. აკად. გამომცემლობა, 1940 წელი;
2. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (Н კოლექცია), ტომი V, საქ. მეც. აკად. გამომცემლობა, თბ., 1949 წელი.

## რ ე ზ ი შ მ ე

შპგელისი დეკორატიული ხელოვნება  
(მარმარილოს ქაღალდი)

## ლია სიხარულიძე

სტატიაში საუბარია „მარმარილოს“ ანუ „ებრუს“ ქაღალდზე, მის ისტორიაზე, ტექნოლოგიაზე და გამოყენებაზე.

## S U M M A R Y

**ANCIENT DECORATIVE ART  
(MARMOREAL PAPER)**

**LIA SIKHARULIDZE**

The article consideres „Marmoreal“ the same „Ebru“ paper, it's history, technology and use.

## Р Е З Ю М Е

**ДРЕВНЕЕ ДЕКОРАТИВНОЕ ИСКУССТВО  
(МРАМОРНАЯ БУМАГА)**

**ЛИА СИХАРУЛИДЗЕ**

В статье идёт речь о „Мраморной“ или бумаги „Эбру“, её истории, технологии и использовании.

Created with

 **nitroPDF** professional  
download the free trial online at [nitropdf.com/professional](http://nitropdf.com/professional)